ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №871

ქ. ბათუმი, 30 სექტემბერი 2016 წ

ქ. ბათუმში, მაზნიაშვილის ქ. N28 მდებარე შენობა-ნაგებობებზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ. ბათუმში, მაზნიაშვილის ქ.N28-ში მდებარე 312,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 05.21.22.019) განთავსებულ 169,83 კვ.მ შენობა-ნაგებობებს (შენობა N01; N02) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით ჩაუტარდა რეკონსტრუქცია, კერძოდ, N01 შენობაზე დაშენებული იქნა მე-2 და მე-3 სართულები, რის შედეგადაც N01 შენობის ფართობმა შეადგინა 439,74 კვ.მ. ხოლო N02 ერთსართულიანი შენობის ფართობი გახდა 22,78 კვ.მ. ორივე შენობის ფართობი ჯამში შეადგენს 462,52 კვ.მ-ს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 106-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი, შეძენილი ან რეგისტრირებული ქონება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ხსენებული 292,69 კვ.მ. ფართი წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილ ქონებას, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 106-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილებების რეგისტრაცია ქ. ბათუმში, მაზნიაშვილის ქ.N28-ში მდებარე N05.21.22.019 უძრავ ნივთზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებში და ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით დარეგისტრირდეს რეკონსტრუქციის შედეგად მიღებული 462,52 კვ.მ. საერთო ფართობის შენობა-ნაგებობები.

2. ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, განახორციელოს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცვლილებების რეგისტრაცია უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში.

3. ბრძანების შესრულება დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს (ე. ლომაძე).

4. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით რეგისტრაციის მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით შესაბამის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბა-

თუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის ქონების მართვისა და განკარგვის განყოფილების მთავარ სპეციალისტს ხათუნა კობალაძეს (პირადი ნომერი №61001010495).

5. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი